# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულება №

## ქალაქი ბათუმი, _____ აგვისტო, 2025 წ.

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2025 წლის 22 აგვისტოს N7000/02 წერილის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N17-ის მიმდებარედ არსებული 36,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.24.08.532).
2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ირაკლი თავდგირიძე**

# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2025 წლის 22 აგვისტოს N7000/02 (N07-1425234121-14; 22.08.2025წ.) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილია შპს ,,პრემიუმ მეტროპოლ ინკ“-ის წერილი, რომელიც ეხება ქალაქ ბათუმში, ტბელ აბუსერიძის N17-ში მდებარე 36,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებნის მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის საკითხს, შემდგომში მისი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადმოსაცემად, მიმდებარედ ერთიან გეოგრაფიულ სივრცეში არსებულ მიწის ნაკვეთებთან გაერთიანებისა და ერთ ლოტად პრივატიზების საკითხს. საკითხთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2025 წლის 24 ივნისის N01-01-10/4562 წერილით მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა ქალაქ ბათუმში, ტ ბ ე ლ ა ბ უ ს ე რ ი ძ ი ს ქ უ ჩ ა N 1 7 - ი ს მ ი მ დ ე ბ ა რ ე დ 3 6 , 0 0 კ ვ . მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.24.08.532) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაცია.

ვინაიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განიხილება N05.24.08.532 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან გაერთიანება, შემდგომში მიწის ნაკვეთების ერთ ლოტად განკარგვის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შესაძლებლად მიაჩნია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N17-ის მიმდებარედ ქ. ბათუმის მუნიციპასლიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 36,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.24.08.532).

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N17-ის მიმდებარედ არსებული 36,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.24.08.532) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე